

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
მიზნობრივი პროგრამა

2013 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) დასახელება

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

“ 1 იანვარი “ 2013 წ.
“ 31 დეკემბერი “ 2013 წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

100,000 (ასი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ა) ძირითადი _ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	100,000	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 65 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობის 30%, ხოლო 70 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობის 40-70%-ს აღენიშნება სხვადასხვა ხარისხის სმენის დაქვეითება. სმენის დარღვევები, იწვევს როგორც ადამიანის სოციალური ადაპტაციის და მისი ფუნქციური დამოუკიდებლობის დაქვეითებას, ასევე სტრესული ფაქტორით გამოწვეულ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. განსაკუთრებით აქტუალურია სმენის დარღვევების კორექცია ბავშვებში, ვინაიდან სმენაჩლუნგობა იწვევს ბავშვის არა მარტო მეტყველების დარღვევას, არამედ ზოგადი ფსიქო-ნევროლოგიური განვითარების შეფერხებას. საქართველოში აუდიოლოგიური გამოკვლევის ხელმისაწვდომობის ზრდა და გამოკვლევის ხარისხის გაუმჯობესება განაპირობებს დიაგნოსტირებული სმენაჩლუნგობის შემთხვევების რაოდენობის ზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის მოთხოვნას სმენის აპარატებზე. ამ კატეგორიის მოქალაქეების სმენის აპარატებით უზრუნველყოფა გააუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს და ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამას, რომლის ფარგლებში 2004 წელს სმენის აპარატით უზრუნველყოფილი იქნა 90 მოქალაქე, 2005 წელს - 206, ხოლო 2008 წელს - 450 მოქალაქე.

2012 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 180 რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მათ შორის 10 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს შეტანილი განცხადება „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სმენის აპარატის მისაღებად სსიპ - საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოში. გარდა აღნიშნული მოქალაქეებისა, ასაკით პენსიონერთა დიდ ნაწილს, რომელთაც აღენიშნება სმენის დაქვეითება, არა აქვს მინიჭებული შშმ პირის სტატუსი, რის გამოც ისინი ვერ ისარგებლებენ სახელმწიფო პროგრამით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტის (შემდეგში - კომპონენტი) განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს 200 ცალი ციფრული სმენის აპარატის შეძენას, რისთვისაც საჭიროა 100 000 ლარი.

საკანონმდებლო ბაზა: საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N503 დადგენილება - „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	სმენადაქვეითებულ პირთა უზრუნველყოფა ციფრული სმენის აპარატებით	ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება; ციფრული სმენის აპარატებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

2013 წელი

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	პრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ბენეფიციართა სიების დაზუსტება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	მომსახურების გაწევა			X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	სულ
1	ძირითადი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	100,000			100,000
2	დამატებითი					0
	სულ		100,000			100,000

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება 500 ლარი	რაოდენობა 200 ცალი	სულ ღონისძიების ხარჯი ასი ათასი ლარი
2013 წელი				
I	საქონელი და მომსახურება			
სულ საქონელი და მომსახურება				0
II	სოციალური უზრუნველყოფა			

1	სმენადაქვეითებულ პირთა ციფრული სმენის აპარატებით უზრუნველყოფა, მორგება, აპარატის გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება 12 თვის განმავლობაში		200	500	100,000
სულ სოციალური უზრუნველყოფა					100,000
III	არაფინანსური აქტივები				
სულ ჯამი					100,000

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	სმენის აპარატები	I-III კვარტალი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	100,000	

დამატებითი ინფორმაცია

ა) დამტკიცებული ხარჯების თვეების მიხედვით განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ. ერთეულის ფასი განისაზღვრა „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფასის მიხედვით.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა;

და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ, ერთეულის ფასი განისაზღვრა „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფასის მიხედვით.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ციფრული სმენის აპარატით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. „მიწოდებელი“ პროგრამას ახორციელებს „სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ დებულობს შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. დაფინანსების-(ვაუჩერის გაცემის) საკითხი ყველა შემთხვევაში წყდება კომისიურად.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი

კომპონენტის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის მომენტში.

- კომპონენტის ფარგლებში სმენის აპარატის მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. 18 წლამდე ასაკის ბავშვები;
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
3. ასაკით პენსიონერები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
4. ასაკით პენსიონერები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
5. ასაკით პენსიონერები;

კომპონენტით ვერ ისარგებლებენ ის პირები, ვისაც მიღებული აქვთ ვაუჩერი „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა აუდიოლოგიური გამოკვლევის შედეგით, სადაც მითითებული უნდა იყოს სმენის აპარატის აუცილებლობა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);

ს წ ო რ ი ა:

